

გენერალური პროტოკოლი საფრინველის გასუფთავებისა და დეზინფექციის შესახებ

(მომზადებულია ჰოლანდიის ცხოველთა ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ)

ფრინველების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა იწყება ჯანსაღი წიწილების მოთავსებით სუფთა გარემოში. გასუფთავება და დეზინფექცია ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია. უნდა არსებობდეს კარგი ბალანსი დასასველებელ, გამწმენდ და სადეზინფექციო ქიმიკატებს შორის. ფრინველებისა და საფრინველის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სპეციალური პროტოკოლი.

ბიოუსაფრთხოების დაცვა იწყება ინკუბატორიდან ჯანსაღი წიწილების მიღებით. ეს, აგრეთვე, გულისხმობს ჯანმრთელ სადედ გუნდს და ბიოუსაფრთხოების კარგ პროგრამას, როგორც საფრინველში, ასევე წიწილების ტრანსპორტირებისას. მაგრამ, დღესდღეობით გენეტიკა იმდენად სრულყოფილია, რომ წიწილები სულ უფრო ნაკლებად მდგრადები არიან დაავადებების მიმართ და ამიტომ აუცილებელია ოპტიმალური ბიოუსაფრთხოების პირობების შექმნა ფერმებში.

არსებობს მრავალი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად სუფთა და გაწმენდილი უნდა იყოს საფრინველე და აღჭურვილობა. ასეთი მოსაზრებები არსებობს, „ყველაფერი უნდა იყოს პრაქტიკულად სტერილური“ მოსაზრებიდან „მხოლოდ ვიზუალური სისუფთავე საკმარისია“ მოსაზრებამდე. მიუხედავად ამისა, HACCP წესები და ინტეგრაციის მარეგულირებელი ნორმები ადგენენ მიდგომებს, რომელთა ფარგლებშიც უნდა იქნეს მიღწეული გარკვეული ანტიმიკრობული ეფექტი. ეს ნიშნავს იმას, რომ დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები, მაგ. ნაწლავის ჩხირი, სალმონელა და კამპილობაქტერია უნდა განადგურდეს, რომ მომავალში არ გამოიწვიონ ფრინველების დაინფიცირება ან ხორცისა თუ კვერცხის გაფუჭება. პათოგენები, როგორცაა NCD, AI, IBD, მარეკის ვირუსი, ასევე უნდა გამოირიცხოს იმისათვის, რომ ფრინველების ახალი პარტია მოთავსდეს დაბინძურების

მინიმალური რისკის მატარებელ ოპტიმალურ გარემოში, სადაც არ იქნება მღრღნელების, მწერებისა და გარეული ფრინველების საშიშროება.

არ არსებობს საუკეთესო მეთოდი ან პროტოკოლი საფრინველების გასუფთავებისა და დეზინფიცირებისათვის. მაგრამ ამასთან არის რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, რომელიც შესაძლოა მარტივად უგულებელყოფილი ან დავიწყებული იყოს წლების განმავლობაში.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილი საკითხების უმრავლესობა კარგადაა ცნობილი და ერთი შეხედვით გასაგები და ნათელია, მაგრამ მათი შეჯამება შესაძლოა სასარგებლო იყოს გარკვეული კანონზომიერებების გასახსენებლად:

რა უნდა გაკეთდეს?

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ **დეზინფიცირება გასუფთავების გარეშე დროისა და ფულის ფუჭი ხარჯვაა**. გასუფთავება ძირითადად დაბინძურების მართვაა, რომელიც შესაძლოა მხოლოდ *ნაწილობრივ* ჩანდეს: ასეთი დაბინძურების იდენტიფიცირებისა და ზედაპირიდან მოშორებისთვის გამოიყენება წყალი და სარეცხი/საწმენდი საშუალებები.

გასუფთავებისა და დეზინფიცირების აქტივობები მეფრინველეობაში დაიყვანება შემდეგ საერთო ჩამონათვალზე:

- მოხსენით და გაიტანეთ აღჭურვილობა საფრინველედან;
- გაიტანეთ ნაგავი;
- ჩაატარეთ შენობის და ყველა არამოხსნადი აღჭურვილობის მშრალი ქიმიური გაწმენდა;
- წყლითა და სარეცხი/საწმენდი საშუალებებით გაწოვა;
- წყლის მიწოდების წვეთოვანი სისტემის გაწმენდა;
- საფრინველეს და აღჭურვილობის გასუფთავება წყლით;
- მოაშორეთ დარჩენილი წყალი იატაკიდან და სხვა ზედაპირებიდან;
- (ნაწილობრივ) ხელახლა დაამონტაჟეთ აღჭურვილობა;
- ჩაატარეთ დეზინფექცია წყლითა და სადეზინფექციო საშუალებებით;

- გააკეთეთ მშრალი დეზინფექცია გაბოლებით;

გასუფთავება და დეზინფექცია განიხილება ორ განსხვავებულ მოქმედებად, რომელიც გულისხმობს სპეციფიკურ ქიმიკატებს, ისინი არ ერევიან ერთმანეთს. ნარჩენმა ორგანულმა მასალებმა საფრინველში შესაძლოა მოახდინონ გამოყენებული ქიმიკატების ინაქტივაცია, ხოლო ცხიმი შესანიშნავ დამცავ საშუალებას წარმოადგენს ბაქტერიებისა და სხვა მიკრობებისთვის. ცხიმის გამხსნელმა, როგორცაა მაგ. თუთქი, შესაძლოა მოშალოს ასეთი დამცავი ფენა იმის გათვალისწინებით, რომ დასველების დრო იყო საკმარისი.

დასუფთავება პირველ რიგში

საფრინველეს და მისი უშუალო გარემოს სათანადო და ეფექტური გასუფთავებისთვის აუცილებელია სხვადასხვა მოქმედების სათანადოდ განხორციელება. დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ყველა გამოყენებული სადეზინფექციო აღჭურვილობა შეესაბამება საჭირო სტანდარტებს. იგივე ეხება წყალს. უმნიშვნელოვანესია იმის გათვალისწინება, რომ გაწმენდისთვის გამოყენებული წყალი ვარგისი უნდა იყოს ცხოველთა მოხმარებისთვის და არ უნდა შეიცავდეს ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედონ გამოყენებულ სადეზინფექციო საშუალებებზე. კარგი დასუფთავება უნდა გულისხმობდეს მიკროორგანიზმების 80%-ით შემცირებას, რაც საზოგადოდ ცნობილია, როგორც „დეზინფიცირებული“ სიტუაცია. ეს საშუალებას მისცემს სადეზინფექციო საშუალებას კიდევ უფრო მარტივად შეამციროს დარჩენილი პათოგენების რაოდენობა.

ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სარეცხი/საწმენდი საშუალების ფუნქციონირებას:

1. ქიმიური ენერჯია: pH და კონცენტრაცია (ტუტე სარეცხი/საწმენდი საშუალებები ებრძვიან ცილებსა და ცხიმებს; მჟავა სარეცხი/საწმენდი საშუალებები – მინერალურ დანალექს, როგორცაა მაგ. მინადული);

2. თერმული ენერგია (ცხიმი იხსნება 35° C);
3. ფიზიკური ენერგია (მაგ. მაღალი წნევის მქონე სარწყავი/სარეცხი მოწყობილობა);
4. საკონტაქტო დრო: ქიმიურ ენერგიას ესაჭიროება გარკვეული დრო მოქმედებისთვის. ეს ერთადერთი ფაქტორია, რომელიც საერთოდ არ მოითხოვს ენერგიას, ის უფასოდაა წარმოდგენილი. შესაბამისად, ხშირად ქაფი გამოიყენება „კლასიკური სარეცხი/საწმენდი საშუალების” ნაცვლად, რამდენადაც ის უფრო დიდ ხანს მოქმედებს. დღესდღეობით, შემუშავდა გამწმენდი საშუალებების ახალი თაობა გელის ფორმით. კონტაქტის დროის გაზრდით თქვენ დაზოგავთ წყალს, შრომასა და ენერგიას, როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს.

22 ნაბიჯი საფრინველის გასაწმენდად:

1. ცხოველების გადაყვანის შემდეგ დაიწყეთ ბრძოლა ისეთი მწერების წინააღმდეგ, როგორცაა შავი ხოჭოები, მატლები, ინსექტიციდების მოფრქვევით კედლებზე, კედლებსა და იატაკს შორის ნაწიბურებში და ნაპრალებში ბეტონის იატაკებზე. ქვეშაფენი (ნაკელი) უნდა მოაშოროთ იატაკსა და ნაპრალებს. ხოჭოები და მატლები დაიძალებიან არა მხოლოდ ჭერში, არამედ ნაპრალებში ბეტონის იატაკის ქვეშ ან იატაკისხვრელებში.
2. საფრინველის ინტერიერთან დაკავშირებული მომსახურე პერსონალის ოთახები, ჰიგიენური ბარიერი და სხვა ოთახები უნდა გაიწმინდოს და დასუფთავდეს სათანადოდ.
3. საკვებურები უნდა დაიცალოს სრულად. საკვების ნარჩენები უნდა იქნეს გატანილი, ხოლო საკვების მიმწოდებელი აღჭურვილობა უნდა გაიწმინდოს. არ დაგავიწყდეთ იმავეს გაკეთება ბუნკერებში, ასევე კონვეიერებთან დაკავშირებული ბუნკერებისა და საკვების ამწონი აღჭურვილობისთვის.
4. აღჭურვილობა, რომლის გაწმენდა შეუძლებელია ადგილზე, მაგრამ დაშლაც შესაძლებელია, გატანილ უნდა იქნეს საფრინველედან და დროებით მოთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც მისი გაწმენდა იქნება შესაძლებელი. დარწმუნდით, რომ ასეთი

ადგილი უზრუნველყოფილია წყალგამშვებით, რომელიც არ უკავშირდება საფრინველს.

5. გაიტანეთ ნაგავი (ქვეშსაფენი, ნაკელი) და მოათავსეთ ის ფერმის ტერიტორიის გარეთ. თუ არ ხერხდება ნაგვის გატანა ფერმის ტერიტორიიდან, დაუყოვნებლივ დააფარეთ და გადაამუშავეთ მაქსიმალურად სწრაფად. ნაგავში არსებული მწერები, როგორც წესი, სწრაფად ბრუნდებიან უკან, უახლოეს საფრინველში.

6. აუცილებელია სახურავის ვენტილატორების მოხსნა სათავსოების და სავენტილაციო შახტების გაწმენდის მიზნით. კედლის ვენტილატორები უნდა გაიწმინდოს დემონტაჟის გარეშე, მაგრამ აუცილებელია გამწმენდი წყლისა და ჭუჭყის ეფექტურად მოშორება.

7. ჰაერის შემწოვი სარქველები და შახტები ხშირად ძნელი მისადგომია, მაგრამ აუცილებელია მათი გაწმენდა შიგნიდან და გარედან. გარედან გაწმენდა მნიშვნელოვანია, რადგან მტვერმა დაბინძურებასთან ერთად შესაძლოა ადვილად შეაღწიოს შიგნით. ცხოველებისა და ფრინველების დამცავი ლითონის ბადე უმჯობესია მოიხსნას.

8. როდესაც შეუძლებელია აღჭურვილობის გაწმენდა წყლით, აუცილებელია მისი მშრალი მეთოდით გასუფთავება და პლასტმასის დაფარება დასაცავად.

9. დაასუფთავეთ საფრინველე, როდესაც ის ჯერ კიდევ მშრალია და მოაშორეთ ნარჩენი ფეკალიები და სხვა ორგანული ნივთიერებები.

10. გაწმინდეთ სასმელი წყლის სისტემა გამდინარე წყლის ნაკადით და ჩაასხით შესაბამისი გამწმენდი ნივთიერება, შემდეგ დატოვეთ სათანადო საკონტაქტო დროის განმავლობაში ეფექტური შედეგის მიღებისთვის.

11. ბეტონის იატაკის შემთხვევაში: დაასველეთ და გააჩერეთ სულ მცირე 3 საათის განმავლობაში წყალი სარეცხი/საწმენდი საშუალებით და გაწმინდეთ მაღალი წნევის მილით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ ადგილებს, სადაც სხვადასხვა ნივთიერება უერთდება ერთმანეთს და ნაწიბურებს კედლებსა და იატაკს შორის, ისე,

რომ სადებიზინფექციო საშუალებამ შეაღწიოს ღრმად, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის დასუფთავების ეფექტურობას.

12. ჭერები, სავენტილაციო შახტები და კედლები ახლა უკვე უნდა დამუშავდეს სარეცხი/საწმენდი საშუალებით (ქაფი, რომელიც უფრო დიდ ხანს მიეკრობა ზედაპირს და შესაბამისად უფრო ეფექტური საშუალებაა). დაახლოებით 30 წუთის შემდეგ ჩამორეცხეთ წყლით ჭერი და შახტები, მუშაობის დროს ზევიდან ქვევით.

13. იატაკები, საკვები და წყლის მიწოდების სისტემები უნდა დამუშავდეს ქაფით და გაირეცხოს წყლით 30 წუთის შემდეგ. შეეცადეთ ხელახლა არ გააჭუჭყიანოთ სუფთა ზედაპირები ძალიან ძლიერი წნევის წყლის გამოყენებით. საფრინველეში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის წყალგამშვები-ნაწილაკების ეფექტურად და სწრაფად გაწოვის მიზნით.

14. აუცილებელია გამათბობლების გაწმენდა შიდა მხარესაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც საფრინველე ისევ გათბება, ჭუჭყი გაშრება და ნაწილაკები გაიფანტება სუფთა სათავსოში.

15. წყლისა და ელექტროენერჯის მიღები ხშირად ავიწყდებათ, იგივე შეიძლება ითქვას სანათებზე, სადაც ხშირად გროვდება მტვერი.

16. მოამორეთ ნარჩენი წყალი იატაკიდან.

17. თითოეული სათავსო, რომელიც დაკავშირებულია საფრინველესთან, მკვდარი ფრინველების საცავი მოწყობილობების ჩათვლით, უნდა გასუფთავდეს და ჩაუტარდეს დეზინფექცია.

18. შეამოწმეთ ყველა გასუფთავებული სათავსო და აღჭურვილობა ნარჩენი ჭუჭყის არსებობაზე.

19. აღჭურვილობა, რომელზედაც შეუძლებელია ლაქების ამოყვანა, უნდა იყოს სუფთა და მიკრობების გარეშე.

20. ხელახლა დააყენეთ აღჭურვილობა საფრინველეში, მაგრამ არ მოათავსოთ ის იატაკზე. ისევ დაამაგრეთ ვენტილატორები და დახურეთ შახტები.

21. დახურეთ საფრინველე, დაიცავით ზედაპირების ხელმისაწვდომობა დამუშავებისთვის, როგორცაა მაგ. ჰაერის გამწოვის სარქველები.

22. გარეცხეთ სამუშაო ტანსაცმელი და ჩექმები.

სასმელი სისტემა

დახურული სისტემების შემთხვევაში, როგორცაა მაგ. წვეთოვანი სასმელი სისტემა, შეეცადეთ დაადგინოთ დაბინძურების დონე წყლის მილების შიგნით და წვეთოვან სასმელ სისტემაში რამდენიმე ადგილას მოხსნით. უხეშად რომ ვთქვათ, დაბინძურება შეიძლება იყოს ორგანული ნივთიერებების სახით წარმოდგენილი, როგორცაა ბაქტერიები, წყალმცენარეები, ხავსები ან არაორგანული ნივთიერებები, (მარილები ან კირქვა). ორგანული ნივთიერება უნდა იქნეს მოშორებული ტუტე ქიმიკატებით ან წყალბადის ზეჟანგით, არაორგანული ნივთიერება-მჟავა ქიმიკატებით, რომლებიც იმავდროულად შესაძლოა იწვევდნენ კოროზიას. მთავარ მილსადენთან ერთად აუცილებელია გაიწმინდოს დამხმარე და გვერდითი მილებიც.

ნიპელური ან ჭიქური სისტემა:

- გარეცხეთ სისტემა მაღალი წნევით.
- აავსეთ სისტემა საწმენდი ქიმიური ნივთიერებით დოზირების ხელსაწყოს მეშვეობით ან ბუფერული კონტეინერით. შეამოწმეთ თითოეული დამაკავშირებელი წერტილი ქიმიური ნივთიერების არსებობაზე სუნით ან pH გაზომვით. დატოვეთ ქიმიური ნივთიერება სისტემაში სულ მცირე 24 საათის განმავლობაში იმისათვის, რომ ქიმიკატებმა იმოქმედონ.
- შემდეგ დაცალეთ სისტემა და გარეცხეთ გამდინარე სუფთა წყლით.

გახსენით მრგვალი სასმელი მოწყობილობები და ჭიქები

- ჩადეთ გამწმენდ სითხეში კალციუმის გახსნისთვის 2-6 საათით, შემდეგ გამორეცხეთ წყლით. ძლიერი ჩაკირვის შემთხვევაში, გამოიყენეთ ჯაგრისი.
- გამწმენდი მოქმედებების განხორციელების შემდეგ, მილები და საწვეთურები უნდა იქნეს გავსებული სადეზინფექციო ქიმიური ნივთიერებით სათანადო საკონტაქტო დროის განმავლობაში. შემდეგ გამორეცხეთ გამდინარე წყლით. შეამოწმეთ სადეზინფექციო ნივთიერების ნარჩენების არსებობაზე.

- ღია სასმელი მოწყობილობა შესაძლოა ჩაშვებულ იქნეს სადეზინფექციო ნივთიერებაში და შემდეგ გაირეცხოს.

საფრინველები

დეზინფექციების მიზანია პათოგენების რაოდენობის შემცირება, იდეალურ შემთხვევაში 99.99%-ით. შესაბამისად, სადეზინფექციო საშუალება უნდა ხასიათდებოდეს გარკვეული თვისებებით. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა წარმოადგენდეს სარეცხ/საწმენდ საშუალებას, ქაფს ან გელს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი გამწმენდი აგენტი მოიცავს კათიონოგენურ ზედაპირულ-აქტიურ ნივთიერებებს, სადეზინფექციო საშუალება არ უნდა შეიცავდეს ანიონებს (ფენოლები და განსაკუთრებით მათი დერივატები, როგორცაა მაგ. კრეზოლი, როგორც ცნობილია შეესაბამება არაიონურ ზედაპირულ-აქტიურ ნივთიერებებს და კათიონებს, მეოთხედ ამონიუმის დერივატებს). სადეზინფექციო საშუალებების უმრავლესობა მოითხოვს ძალიან სუფთა ზედაპირს, რადგანაც ორგანული ნივთიერებების ნარჩენებმა (არააქტიურ მდგომარეობაშიც კი) შესაძლოა უარყოფითად იმოქმედონ ქიმიურ ნივთიერებებზე.

სანიტარული მიზნებით, გაწმენდა-დასუფთავებისთვის გამოყენებული აღჭურვილობა უნდა იყოს ადგილზე წარმოდგენილი. დეზინფექციის პროცესი შესაძლოა განხორციელდეს მაღალი წნევის გამწმენდი აღჭურვილობით, მაგრამ ამ ეტაპზე გამოყენებული წნევა უნდა იყოს დაბალი. საუკეთესო დეზინფექცია შესაძლოა მიღწეულ იქნეს თხევადი ქიმიური ნივთიერებებით დეზინფექციისა და შემდგომ ფუმიგაციის თანხლებით.

საფრინველის დეზინფიცირების ნაბიჯები

1. დაარეგულირეთ სათანადო ტემპერატურა გამოყენებული ქიმიური ნივთიერებისთვის. როდესაც შეუძლებელია ასეთი ტემპერატურის მიღება, შეარჩიეთ სათანადო ქიმიური ნივთიერება ადგილზე არსებული ტემპერატურისთვის.
2. დაუშვებელია დაბინძურება საფრინველებში დეზინფექციის დროს და მას შემდეგ. არ ჩაკეტოთ კარები მუშების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
3. ადამიანებმა უნდა მიიღონ სათანადო დამცავი ზომები ქიმიური ნივთიერებების წინააღმდეგ, როგორც ეს მითითებულია შეფუთვებზე. არ გარისკოთ, გამოიყენეთ აირწინაღები ხარისხიანი ფილტრით, ხელთათმანები და დამცავი ტანსაცმელი.
4. მოამზადეთ სადეზინფექციო მარაგი გამოსაყენებელი კონცენტრაციით, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება სადეზინფექციო პროცესი.
5. გამოიყენეთ დაბალი წნევა სადეზინფექციო ნივთიერებების მოსაფრქვევად იატაკზე, კედელზე და ჭერზე, შემავალ/შიდა სარქველებში. ყოველთვის დაიწყეთ საფრინველს მოშორებული ნაწილით და იმოდრავეთ კარის მიმართულებით.
6. ჩაკეტეთ სავებტილაციო შემავალი სარქველები;
7. განათავსეთ საფრინველში უკვე დეზინფიცირებული აღჭურვილობა და იარაღები.
8. მოამზადეთ სადეზინფექციო ნივთიერებების მარაგი ფუმიგაციისთვის და მოაფრქვიეთ კარში ან კედელზე არსებული პატარა სარქველიდან. როდესაც საფრინველში მოთავსდება ფუმიგატორი, ის უნდა გავწიოთ უკანა მიმართულებით, კვამლის რეცირკულაციის თავიდან აცილების მიზნით.
9. თითოეული სათავსო, რომელიც უკავშირდება საფრინველს, ასევე შესაძლოა დაექვემდებაროს დეზინფიცირებას ფუმიგაციის მეშვეობით.
10. ჩაკეტეთ კარები და იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულ იქნა ფორმალდეჰიდი, დატოვეთ ყველაფერი სულ მცირე 24 საათის განმავლობაში, სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შემთხვევაში - სულ მცირე 8 საათით.

11. დაიწყეთ ვენტილაცია მითითებული საკონტაქტო დროის შემდეგ და აუწიეთ ტემპერატურას 15°C-მდე, როცა ეს აუცილებელი გახდება. პირველ რიგში გახსენით სავენტილაციო გამავალი მილები, ხოლო შემდეგ ჰაერის მოწოდების შემავალი მილები.

დარჩენილი ფორმალდეჰიდი ნეიტრალიზდება 25% ამონიუმის ხსნარით. კარების ღიად დატოვება არ არის კარგი გადაწყვეტილება, რადგან შედეგად არასასურველი უცხო ნივთიერებები თავისუფლად შეაღწევს საფრინველში.

12. საკვების მიწოდების სისტემის შიგნით შეუძლებელია გაწმენდა ან დეზინფიცირება განხორციელდეს, მაგრამ როდესაც საამისოდ არსებობს საფუძვლიანი მიზეზი, შესაძლებელია მკვებავი სისტემის შევსება საკვებით ან საკვები კომპონენტებით სადეზინფექციო ქიმიური ნივთიერების მაღალი კონცენტრაციის დოზით, მაგ. 5% ფორმალდეჰიდით ან ორგანული მჟავით. ეს შესაძლოა განხორციელდეს უშუალოდ გაწმენდა-დასუფთავების წინ და ასეთი ნარევი მკვებავ სისტემაში შესაძლოა დავტოვოთ რამდენიმე დღით საკონტაქტო პერიოდის განმავლობაში. იგივე შესაძლოა განხორციელდეს მკვებავი (სასილოსე) ორმოების, ამწონი სისტემისა და კვების მიწოდების ხრახნების მიმართაც.

13. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა ნარჩენი ფორმალდეჰიდის დანალექების ნეიტრალიზაცია წყლით.

საფრინველეს გარემო, დამტვირთველი პლატფორმა და ჰაერის გაწოვის მონაკვეთები შესაძლოა დაექვემდებაროს დეზინფიცირებას ნატრიუმის ჰიდროქსიდით ან ქლორის ქსნარებით.

სადეზინფექციო საშუალების არჩევა

სადეზინფექციო ქიმიური ნივთიერების არჩევა დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, მაგალითად: ეფექტური ბრძოლა სხვადასხვა მიკროორგანიზმის წინააღმდეგ, მუშაკების უსაფრთხოება და რა თქმა უნდა, ქიმიური საშუალების ფასი. ცხრილი 1 აჩვენებს გარკვეული ქიმიკატების ეფექტურობას, აგრეთვე

სენსიტიურობას ორგანული ნივთიერებების მიმართ. ეს მხოლოდ საჩვენებელი მონაცემებია.

ცხრილი 1. სადეზინფექციო აგენტების ეფექტურობა სხვადასხვა პათოგენების მიმართ							
	ბაქტერია	მიკოპლაზმა	ვირუსები	სოკოვანი სპორები	ნემატოდების კვერცხები	კოკციდია	სენზიტიურობა ორგანული ნივთიერებების მიმართ
ნატრიუმის ჰიდროქსიდი	++	+++	+	++	+	-	არასენზიტიური
ქლორიდის ხსნარები	++	+++	+	+	-	-	სენზიტიური
მეთილენური ამონიუმის ხსნარები	+	++	+/-	+	-	-	მცირედ სენზიტიური
ფენოლის ხსნარები	++	+++	+/-	+	-	+-	მცირედ სენზიტიური
ფორმალდეჰიდი	++	+++	+	++	-	-	მცირედ სენზიტიური
ზეჟანგი	++	+	++	+	-	-	სენზიტიური
ამიაკი	-	+	-	-	+	+	?
კომბინირებული პროდუქტები	++	?	++	++	?	-	მცირედ სენზიტიური
+++ საუკეთესო ეფექტურობა; ++ კარგი ეფექტურობა; + კარგი; - არაეფექტურობა; +/- მოქმედებს გარკვეული ვირუსების წინააღმდეგ; ? ეფექტურობა არ არის ცნობილი ან დამოკიდებულია შემადგენლობაზე.							

ჰოლანდიის ცხოველთა ჯანმრთელობის სამსახურმა შეამოწმა ფორმალდეჰიდისა და სხვა სადეზინფექციო ნივთიერებების ეფექტურობა ჰიგიენის მაჩვენებლების გაზომვით, რაც ამტკიცებს ფორმალდეჰიდის ყველაზე მაღალ ეფექტურობას. მეორეს

მხრივ, როგორც ჩანს, არ არის დიდი განსხვავება ფორმალდეჰიდისა და ფორმალდეჰიდის შემცველი პროდუქტების ეფექტურობას შორის სხვადასხვა ნივთიერებასთან კომბინირებისას. კომბინირებული პროდუქტების გამოყენებისას გაწმენდა-დასუფთავება კიდევ უფრო ეფექტური უნდა გახდეს.

დასკვნის სახით: ბიოუსაფრთხოება გულისხმობს ინტეგრირებულ პროგრამას, რომელიც უნდა განხორციელდეს და შემოწმდეს. იდეალურ შემთხვევაში, ერთმა მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა აუცილებელი პროდუქტისა და რეკომენდაციების წარმოდგენა. ინტეგრირებული კომპანიებისთვის, მომწოდებელს უნდა ჰქონდეს როგორც სავლე, ასევე ინკუბატორის სანიტარული პროგრამა.